



გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება №22
2023 წლის 13 იანვარი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 39-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის, „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების მე-2 მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გ ე გ მ ა

თავი I. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება და საგანგებო მართვის ორგანიზება

1.1 შესავალი

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნით.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

ა) საგანგებო სიტუაციებისაგან გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

გ) საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;

დ) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;

ე) ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

1.3. სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტები

გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმა შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილების შესაბამისად.

საგანგებო მართვის გეგმა ეფუძნება **დანართ N 1-ში** მითითებულ ნორმატიულ აქტებს. ამავე დროს, მუნიციპალიტეტის მერია, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით უფლებამოსილია დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.4. საგანგებო მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი	გიორგი მაისურაძე	ტელ: 591 801 464
მერი	ვლადიმერ ხინჩეგაშვილი	ტელ: 595 910 905
მერის პირველი მოადგილე	ნიკა ღვინიაშვილი	ტელ: 593 202 531
ადმინისტრაციის უფროსი	ალექსანდრე თარხნიშვილი	ტელ: 599 522 011
საკრებულოს თავმჯდომარე	დავით რაზმაძე	ტელ: 599 851 800

აღნიშნულ პირებთან ინახება საგანგებო მართვის გეგმის თითო ეგზემპლარი.

მუნიციპალიტეტის აღწერილობა და ზოგადი მონაცემები

გორის მუნიციპალიტეტი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში, აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორია (ცხინვალის რეგიონი), სამხრეთით - ბორჯომის და წალკის მუნიციპალიტეტი. გორის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 2327-კვ.კმ -ს და უჭირავს შიდა ქართლის რეგიონის 53%; იგი მდებარეობს გორის ვაკეზე და შუა მტკვრის ხეობაში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ზონაში, ვაკე ნაწილში საშუალო წლიური ტემპერატურა 10-10,9 °C, მთიან ზონაში 7,7 °C ფარგლებში მერყეობს. იანვრის საშუალო ტემპერატურა ვაკეზე - 1,2 -1,7 °C, ხოლო მთიან ზონაში - 3,2 °C-მდე ეცემა, უფრო დაბალი ტემპერატურაა საშუალო და მაღალმთიან ზონაში. ვაკეზე აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,5 °C, დაბალმთიან ზონაში 18,6 °C. ვაკეზე აბსოლუტური მაქსიმუმი 38-40 °C აღწევს, მთიან ზონაში 36 °C. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 31 °C-მდეა, ვაკეზე ნალექები 585 მმ წელიწადში, დაბალმთიან ზონაში - 608 მმ. შედარებით მეტი ნალექი მოდის საშუალო და მაღალმთიან ზონაში. ნალექების მინიმუმი მოდის აგვისტოში (გორი 34 მმ), მაქსიმუმი - მაისში (სოფ. ორმოცი 84 მმ). გორის მუნიციპალიტეტში მთელი

წლის განმავლობაში ქრის დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები, ჭარბობს დასავლეთის ქარი. მთიან სამხრეთ ნაწილში იცის მთა-ხეობათა ქარები.

რეგიონი ხასიათდება მაღალი სეისმურობით, როდესაც ძლიერი მიწისძვრები მაგნიტუდით 7 და ეპიცენტრში მაკროსეისმური ინტენსივობით 8-9 ბალი (MSK სკალა) ხდება.

გორის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი გორი, რომელიც მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და ლიახვის შესართავთან, მუნიციპალიტეტში 23 ადმინისტრაციული ერთეულია:

1. **ადმინისტრაციული ერთეული ქალაქი გორი**, რომელიც მოიცავს შემდეგ უბნებს: ცენტრალური დასახლების 1-ლი, ცენტრალური დასახლების მე-2, კომბინატის დასახლების 1-ლი, კომბინატის დასახლების მე-2, წმინდაწყლის 1-ლი, წმინდაწყლის (ვოლოგდა) მე-2 და დასახლებებს: ჭალა-წყაროსუბნის, სადგური-ელექტროფიკაციის, ვერხვების, კვერნაქის, დევნილთა ჩასახლება;
2. **ბერბუკის ადმინისტრაციული ერთეული** - რომელიც მოიცავს სოფლებს: ბერბუკი, რეხა, სვენეთი, თორტიზა, ხელთუბანი;
3. **კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული** - რომელიც მოიცავს სოფლებს: კარალეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, სათბურის დასახლება;
4. **შავშვების ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ქვემო შავშვები, შავშვები, ნაწრეტი, წითელუბანი, ნადარბაზევი, ხურვალეთი;
5. **მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: მეჯვრისხევი, ზერტი, კვარხეთი;
6. **მერეთის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: მერეთი, კარბი, ქერე, კოშკა, გუგუტიაანთკარი, ზარდიაანთკარი;
7. **სკრის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: სკრა, ბეთლემი, რიეთი, დიდი გორიჯვარი, პატარა გორიჯვარი, კოშკები;
8. **ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ტირძნისი, მეღვრეკისი, ერგნეთი, თერგვისი, ბროწლეთი;
9. **დიცის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: დიცი, ქორდა, არბო;
10. **ტინისხიდის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ტინისხიდი, ორთაშენი, თედოწმინდა;
11. **ვარიანის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ვარიანი, ახალდაბა, საქაშეთი, არაშენდა, ვარიანის მეურნეობა;
12. **ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ქვახვრელი, უფლისციხე;
13. **შინდისის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: შინდისი, ფხვენისი, ყელქცეული, ქვემო ხვითი ;
14. **ძვევრას ადმინისტრაციული ერთეული** - რომელიც მოიცავს სოფლებს: ძვევრა, ქიწნისი, სათემო, შერთული;
15. **ზედდულეთის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ზედდულეთი, ბერშუეთი, კირბალი, ზემო სობისი, ქვემო სობისი, ქვემო ახალსოფელი, ახალშენი;
16. **ახალუბნის ადმინისტრაციული ერთეული** - სოფლები: ახალუბანი, ქვეში, ახრისი, აძვი, მუმლაანთკარი, ჯარიაშენი, ციცაგიაანთკარი, ქვემო არცევი;

17. ატენის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: ატენი, წედისი, ბნავისი, ოლოზი, ღვარები, ხანდისი, იკვნევი, ზემო ქსოვრისი, ველები;
18. ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ზემო ხვითი;
19. მღებრიანის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: მღებრიანი, პატარა წერეთი, დიდი წერეთი, ჭანჭახა, ოქიანი, დიდი ჭავრები, პატარა ჭავრები, პიტნარა, ბოცვანა, ტამი, სახორცე;
20. ბოშურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: ქვემო ბოშური, ზემო ბოშური, ბიისი, ბობნევი, ტუსრევი, ყველაანთუბანი, გაგლოაანთუბანი, ლევიტანა, ორმოცი, თხინალა, იფნარა;
21. საყავრის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: საყავრე, ფიცესი, ლული, გულხანდისი, დიდთავი, წითელი წყარო, ნადარბაზი, ზემო ახალსოფელი, ფელი;
22. ტყვიავის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლები: ტყვიავი, ფლავი, ფლავისმანი, მარანა;
23. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეული – სოფელი: ხიდისთავი.

რაიონულ ცენტრს კვეთს მდინარე დიდი ლიახვი, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 10 მდინარე, 16 ტბა, ზედაპირული წყლები წარმოდგენილია მდინარეებით - მტკვარი, ლიახვი, ტანა, თეძამი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ვულკანური წარმოშობის ტბა - ნადარბაზევი. ქ. გორი ზღვის დონიდან 588მ სიმაღლეზე მდებარეობს.

მანძილი დედაქალაქამდე 65კმ; უახლოესი პორტი - ფოთის პორტი 247 კმ; უახლოესი საკვანძო რკინიგზის სადგური - ხაშური 50კმ; უახლოესი აეროპორტი - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 108 კმ. გორში გადის საქართველოს მთავარი სარკინიგზო და საავტომობილო გზა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ნებისმიერი მიმართულებით მოსახერხებელია მგზავრობა, როგორც მატარებლით, ასევე სხვა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 23 ტერიტორიული ერთეული და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამური რაოდენობა შეადგენს 125692, ხოლო ქალაქ გორის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 48143 ადამიანს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ენერგომომარაგების და საკომუნიკაციო სექტორები წარმოდგენილია დანართი 17-ში. გორის მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი წარმოდგენილია დანართი 10-ის სახით.

1.5 მუნიციპალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე შენობების ტიპი და მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა

გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქ. გორში, გრიგოლ ფერაძის N5-ში (საკადასტრო კოდი N:66.45.31.079).

შენობა არის ოთხ სართულიანი, კაპიტალური ნაგებობა, გადახურულია რბილი გადახურვით, სართულშუა გადახურვა არის უწყვი კონსტრუქციებით განხორციელებული მე-II ხარისხის ცეცხლგამძლეობის. შენობაში შეყვანილია წყალი, გაზი და დენი.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობა ეზოსთან ერთად იკავებს 4297 კვ.მ.-ს. შენობის ფართია 4088 კვ.მ; (სარდაფი - 821.85 კვ.მ, პირველი სართული - 815.52 კვ.მ, მეორე სართული 815.42 კვ.მ, მესამე სართული-722.95 კვ.მ, მეოთხე სართული - 856.09 კვ.მ,

ტექნიკური სართული-56.18კვ.მ) დასავლეთით ესაზღვრება 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ჩრდილოეთით საფეხბურთო მინი სტადიონი, აღმოსავლეთით სხვა შენობა ნაგებობანი და სამხრეთით სკვერი და რაგბის სტადიონი.

ადმინისტრაციულ შენობაში მომსახურე პერსონალის საერთო რაოდენობა არის 248, მათ შორის გუბერნატორის ადმინისტრაციის - 28, მუნიციპალიტეტის მერიის - 208 თანამშრომელი. სხვა თანამშრომლები -12.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური, სასიცოცხლო და სტრატეგიული ობიექტების რაოდენობები და სხვა დეტალური ინფორმაცია მითითებულია გეგმის დანართ N2-ში.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო (გაზი, ელექტროენერჯია და წყალი) საშუალებების რუკების ელექტრონული მისამართები მოცემულია გეგმის დანართ N17 ში.

1.7 საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანო და ფუნქციები

საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი საგანგებო შტაბი (შემდგომში - შტაბი) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას ადგილობრივ დონეზე.

შტაბი იკრიბება საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას დაუყოვნებლივ. შტაბის შეკრების მიზანია:

მუნიციპალიტეტის მასშტაბით განიხილოს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა, დასახოს საგანგებო სიტუაციის მიტიგაციის და რეაგირების ღონისძიებები, მათი ეფექტურად გატარების გზები და კოორდინირება გაუწიოს რეაგირების ძალების საქმიანობას. შტაბი მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით და იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის დონეზე მოსალოდნელ ან შექმნილ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით. თუ არსებული მდგომარეობა ითხოვს რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე ჩარევას, შტაბის შემდგომი მოქმედებები ტარდება ზემდგომი მართვის ორგანოს უწყებათაშორისი ოპერატიული მართვის ცენტრის მითითებების საფუძველზე. შტაბის შეკრებას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ერთობლივად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი ან მისგან უფლებამოსილი პირი. შტაბის დაკომპლექტება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული ფუნქციების გათვალისწინებით. შტაბი ოპერატიულ კავშირზეა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოპერატიულ მორიგესთან. შტაბის ხელმძღვანელს შეუძლია შტაბის შემადგენლობაში დაამატოს წევრები თავისი შეხედულებით.

შტაბის ძირითადი ამოცანებია:

ა) ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის ორგანიზება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილი ვითარების ანალიზი;

ბ) მართვის პუნქტების მზადყოფნის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის, მატერიალური რეზერვებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილების ორგანიზება;

გ) მოსახლეობის შეტყობინებისა და დაცვის ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონის საზღვრების განსაზღვრა, შექმნილი საგანგებო ვითარების მონიტორინგი და პროგნოზირება;

ე) ურთიერთმოქმედება სხვა საგანგებო შტაბებთან, სამხედრო ნაწილებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის საკითხებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - გადაწყვეტილების მიღება საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სხვა მეზობელი მუნიციპალიტეტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად საკუთარი ძალებითა და საშუალებებით;

ვ) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის და აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობა და ამ სამუშაოებში შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმის ორგანიზება;

ზ) საგანგებო სიტუაციებისათვის არსებული ფინანსური რეზერვების მობილიზება;

თ) მოსახლეობის ევაკუაციის, ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების, საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში სამაშველო ძალებისა და ტექნიკის დამატებით მოზიდვის მიზნით განაცხადის მომზადება და წარდგენა ზემდგომ ინსტანციებში;

კ) დასახმარებლად შემოსული სამაშველო ძალებისა და საშუალებების რაციონალური განაწილება და მათი საქმიანობის კოორდინირება.

შტაბის შემადგენლობა და წევრების ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

შტაბის შემადგენლობა და წევრების ფუნქცია-მოვალეობები

ცხრილი 1

შტაბის შემადგენლობა და წევრების ფუნქცია-მოვალეობები:

#	ადგილობრივი საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	თანამდებობის პირი, რომელთანაც შეთავსებულია შტაბის წევრის პოზიცია	შტაბის წევრის ფუნქცია-მოვალეობა
1	შტაბის უფროსი	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი	დანართი N4, პუნქტი 1
2	შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში	მერი	დანართი N4 პუნქტი 2

3	შტაბის უფროსის მოადგილე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო დეპარტამენტის გორის სამმართველოს უფროსი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის გორი-კასპის განყოფილების უფროსთან კოორდინაციით	დანართი N4 პუნქტი 3
4	შტაბის წევრი კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი	დანართი N4 პუნქტი 4
5	შტაბის წევრი სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი	დანართი N4 პუნქტი 5
6	შტაბის წევრი სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი	დანართი N4 პუნქტი 6
7	შტაბის წევრი ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე	დანართი N4 პუნქტი 7
8	შტაბის წევრი ენერგომომარაგების უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი	დანართი N4 პუნქტი 8
9	შტაბის წევრი მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის საკითხებში	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს დირექტორი	დანართი N4 პუნქტი 9
10	შტაბის წევრი ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე	დანართი N4 პუნქტი 10
11	შტაბის წევრი სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის საკითხებში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი	დანართი N4 პუნქტი 11
12	შტაბის წევრი (დამხმარე ფუნქცია)	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელი	დანართი N4 პუნქტი 1,6,7,11,12

1.6. საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემა.

ა) შტაბის წევრების შეტყობინების სისტემის აღწერა.

შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით **დანართ N5**-ში წარმდგენილი შეტყობინების სქემის მიხედვით, ხოლო მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის სისტემის საკოორდინაციო კომუნიკაცია ხორციელდება **დანართ N6**-ში წარმოდგენილი შეტყობინების სქემის მიხედვით.

ბ) მუნიციპალიტეტში არსებული მოსახლეობის ადრეული გაფრხილების სისტემის აღწერა: ქალაქში ამ დროისთვის არ არსებობს ადრეული გაფრთხილების სისტემა. მოსახლეობის ინფორმირება ხორციელდება პრესის საშუალებებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების დახმარებით. შეტყობინების დუბლირება ხდება პოლიციის მიერ საპატრულო მანქანების ხმამაღლა მოლაპარაკების საშუალებით.

1.7. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო ძალები, მათი ტექნიკა-აღჭურვილობა წარმოდგენილია დანართებში 7 (სახანძრო-სამაშველო) და 8 (მუნიციპალიტეტის).

1.8. საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში ჩართული ორგანიზაციები და მათი ამოცანები წარმოდგენილია დანართი 9-ში.

1.9. ევაკუაცია. მოსახლეობის დაცვის მიზნით საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზება უკეთდება მათ ევაკუაციას (იხ. ევაკუაციის რუკა **დანართი 12.1**); მუნიციპალიტეტის შენობიდან ევაკუაციის გეგმა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ **დანართი 11**).

1.10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა. არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, კერძოდ:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

II თავი. მუნიციპალიტეტის რისკების შეფასება

2.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის საფრთხეების ანალიზი

2.1.1 საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” საფუძველზე.

2.1.2. მოსალოდნელი საფრთხეების აღწერა:

ა) საფრთხეები მუნიციპალიტეტის მაშშტაბით.

გორის მუნიციპალიტეტი ქ. გორის მიდამოები, თბილისი-სენაკის-ლესელიძის ძველი საავტომობილო გზის 87-ე კმ (422139 4651079) - საავტომობილო გზის ამ მონაკვეთზე ბოლო წლებში სტაბილიზაციის ფაზაში გადასული მეწყრული პროცესები ნელი ტემპით მაინც მიმდინარეობს, გზაზე გაჩენილია ახალი ნაპრალები, დამცავი კედელი კი იმდენად დაზიანებულია, რომ თავის ფუნქციას პრაქტიკულად ვეღარ ასრულებს და შესაბამისად, პერიოდულად საჭირო ხდება გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა. აუცილებელია, რომ გეომონიტორინგული კვლევები მომავალშიც გაგრძელდეს.

მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირი ს. ვარიანთან, ხიდის მიმდებარედ (420526-4660472) - მდგომარეობა ისევ რთულია მდინარის მარჯვენა, 3.0-3.5 მ სიმაღლის ტერასული საფეხურის გასწვრივ, სადაც 150 მ სიგრძის მონაკვეთზე მიმდინარეობს ძლიერი გვერდითი ეროზია. ფიქსირდება ახალ-ახალი ჩაქცევების კვალი, მდინარის ერთი ნაკადი პირდაპირ ხიდის ერთ საყრდენ ბოძს ურტყამს და საფრთხეს უქმნის. აუცილებელია, მდინარის გასწორხაზოვნება, ნაკადის მიმართვა სადინარის შუაგულისკენ და სხვა ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება საავტომობილო ხიდი და სასოფლო გზა.

ბოშური-ატენი-ხიდისთავის საავტომობილო გზაზე, 420964-4638982 და 425058-4640709 კოორდინატებს შორის, მიმდინარეობს აქტიური სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. გზის ვაკისის გაფართოების მიზნით ხდება ფერდობების ჩამოჭრა. ერთ უბანზე (კოორდ. 423627-4639140) ეწყობა სამაგრი კედელი, რაც არასაკმარისია, ვინაიდან აღნიშნული გზის მონაკვეთის თითქმის მთელ სიგრძეზე ჩამოჭრილი ფერდობები მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების განვითარებისთვის კარგ პირობებს ქმნიან, ამიტომ საჭიროა როგორც დამცავი კედლების, ასევე რკინის ბადეების მოწყობა.

2021 წელს ს.ს ნაწრეტის, **თედოწმინდას და ატენის მეწყრულ უბნებზეც** წინა წლების მსგავსად განხორციელდა მონიტორინგული კვლევები. აღნიშნულ უბნებზეც და, ზოგადად, შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზეც სტიქიური გეოლოგიური კუთხით ბოლო წლებია განსაკუთრებული აქტიურობა არ შეინიშნება, რაც განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ბოლო წლებში ატმოსფერული ნალექები, როგორც გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მრავალწლიურ საშუალოზე დაბლა ფიქსირდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (ადგილის) სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე განისაზღვრა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის შემდეგი საფრთხეები: მიწისძვრა, ძლიერი ქარი/სეტყვა, წყალმოვარდნა და ტყის ხანძარი. **იხ. დანართ N3.**

ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისთვის განისაზღვრა შემდეგი საფრთხეები: ხანძარი შენობაში და მიწისძვრა.

2.2. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება.

2.2.1. რისკის შეფასების დრო: 22.06.2022

2022 წლის 22 ივნისს რისკის შეფასების მიზნით გორის მუნიციპალიტეტში გაიმართა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში რისკის შემცირების ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მერიის და საკრებულოს თანამშრომლები, მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში და დაინტერესებული პირები. სამუშაო შეხვედრაზე იდენტიფიცირებულ იქნა საფრთხეები და შესაბამისად განსაზღვრულ იქნა რისკები.

2.2.2. რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის თვისობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისათვის დადგინდა რისკის ქულები ხარისხობრივი შეფასების გზით. იხილეთ შესაბამისად ცხრილები 2.1 და 2.2. მოძიებულ იქნა პირველადი ინფორმაცია (სტიქიური მოვლენების ქრონოლოგია, შედეგების დეტალები და გამომწვევი მიზეზები) და მოხდა საგანგებო სიტუაციის საფრთხეთა იდენტიფიცირება. ამ პირველადი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა საგანგებო ან ყურადსაღები ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ იმ პოტენციურად პრობლემურ ტერიტორიებზე, სადაც საფრთხეების დეტალურად შესწავლის მიზნით საჭიროა შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა და საფუძვლიანი შეფასების ჩატარება.

2.2.3 რისკის შეფასების შედეგები და აღწერა

ა) მუნიციპალიტეტის მასშტაბით იდენტიფიცირებული რისკები პრიორიტეტული საფრთხეების შესაბამისად:

ცხრილი 2.1

#	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	საერთო ქულა
1	წყალმოვარდნა	8	7	56
2	მიწისძვრა	6	6	36
3	ძლიერი ქარი/სეტყვა	7	5	35
4	ტყის ხანძარი	6	5	30

ბ) ადმინისტრაციული შენობისთვის იდენტიფიცირებული რისკები პრიორიტეტული საფრთხეების შესაბამისად:

ცხრილი 2.2

#	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	საერთო ქულა
---	---------	----------	-----------	-------------

1	ხანძარი	7	4	28
2	მიწისძვრა	5	3	15

II თავი. რისკების აღწერილობა/სცენარი

ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებში მოცემულია გამოვლენილი რისკების განვითარების სცენარები და თითოეული სცენარისათვის შესაბამის დანართებში მითითებულია პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენის ღონისძიებები.

დანართი N12 - წყალმოვარდნა

დანართი N13 - მიწისძვრა

დანართი N14 - ძლიერი ქარი/სეტყვა

დანართი N18 - ტყის ხანძარი

ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებში მოცემულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამოვლენილი საფრთხეებით გამოწვეული რისკების განვითარების სცენარები და თითოეული სცენარისათვის შესაბამის დანართში მითითებულია პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენის ღონისძიებები.

დანართი N15 - ხანძარი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.

დანართი N16 - მიწისძვრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.

IV თავი. გეგმის დანართები

4. გეგმის დანართები წარმოდგენილია ცხრილი 3-ის სახით:

ცხრილი 3.

დან. №	დანართის დასახელება
1	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
2	მუნიციპალიტეტის დეტალური მონაცემები
3	მუნიციპალიტეტის რუკა მასზე დატანილი საფრთხეებისა და საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებების აღნიშვნით
4	შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და ამოცანები
5	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
6	მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის საკომუნიკაციო სქემა
7	სახანძრო-სამაშველო ძალებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალი
8	სხვა რეაგირების ძალებისა და მათი აღჭურვილობის ჩამონათვალი
9	დამხმარე ორგანიზაციების ჩამონათვალი
10	უსაფრთხოების პასპორტი
11	მერიის შენობის ევაკუაციის გეგმა
12	წყალმოვარდნა

12.1	წყალმოვარდნის საევაკუაციო სქემები
13	მიწისძვრა
13.1	მიწისძვრა (სიტუაციური სქემა)
14	ძლიერი ქარი/სეტყვა
15	ხანძარი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში
16	მიწისძვრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში
17	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ენერგომომარაგების და საკომუნიკაციო სქემები
18	ტყის ხანძარი
18.1	ტყის ხანძრის სიტუაციური სქემა

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;
2. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
7. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის N4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N195 დადგენილება „ზღვაში ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
12. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N119 დადგენილება „სახანძრო დაცვის დანაყოფების შენობა-ნაგებობების დაპროექტების ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
13. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის №51 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“;
14. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის N153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის N154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
16. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
17. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
18. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
19. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
20. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N260 დადგენილება - საავტომობილო გვირაბებში საგანგებო შემთხვევების პრევენციისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლები	
	მაჩვენებლის რაოდენობა	დამატებითი ინფორმაცია
1. ტერიტორიის ფართობი, კმ ²	1284კმ.კვ. 2327კმ.კვ	
2. მოსახლეობის საერთო რაოდენობა/მათ შორის ქალაქების, ათასი ადამიანი	125 692 ქ.გორი 48143	
3. დასახლებული პუნქტების რაოდენობა/მათ შორის ქალაქები	132	
6. მოსახლეობის სიმჭიდროვე, ადამიანი/კმ ²	97.89	
7. საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობა/მათ შორის სოფლებში	სულ 144 მათ შორის სოფელში 99	
8. სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა/მათ შორის სოფლებში	41	
9. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა/მათ შორის სოფლებში	426	
10. სამედიცინო პერსონალის რაოდენობა/მათ შორის სოფლებში	1584	
11. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილების რაოდენობა (ლტურულ-სპორტული, საკულტო და რიტუალური დაწესებულებები, ავტოსადგურები, ვაგზოები და ა.შ.)	352	
12. საგანგებო სიტუაციების რაოდენობა 5 წელიწადში, ერთეული, მათ შორის: - ტექნოგენური ხასიათის - ბუნებრივი ხასიათის	1323(2021 წ.მონაც) 62(2021წ.მონაც)	
13. საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ზარალის ოდენობა წელიწადში, ათასი ლარი, მათ შორის: - ტექნოგენური ხასიათის - ბუნებრივი ხასიათის		

<p>14. საგანგებო სიტუაციების მიხედვით გარდაცვლილთა რაოდენობა, ადამიანი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ავარიების შედეგად - საწარმოო ავარიების შედეგად - ხანძრის შედეგად - ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგად 	<p>9 (2021) 177(2021წ.) 1(2021) 62(2021წ)</p>	
<p>15. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, ათასი ადამიანი</p>		
<p>16. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, ათასი ადამიანი / შრომისუნარიანი მოსახლეობის %, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - წარმოებაში - მომსახურების სფეროში 	<p>14.6(2020წ.მონაც) 6 .19</p>	
<p>17. შრომისუნარო მოსახლეობის რაოდენობა, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> პენსიონერთა საერთო რაოდენობა, ათასი ადამიანი, მათ შორის: - ასაკის მიხედვით - ინვალიდი (შ.შ.მ.პ.) - 6-წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა 	<p>30921 ასაკით 23986 2722</p>	
<p>18. რკინიგზის საერთო სიგრძე, კმ. მათ შორის / საერთო სარგებლობის</p>	<p>22443</p>	
<p>19. საავტომობილო გზების საერთო სიგრძე, კმ. მათ შორის / საერთო სარგებლობის / მყარ საფარიანი</p>	<p>521.5კმ</p>	
<p>20. დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომელთან მისასვლელი გზა გრუნტისაა / საერთო რაოდენობის %</p>	<p>251,1კმ გრუნტის 30%</p>	
<p>21. სატელეფონო კავშირის არმქონე (მიუწვდომელია მობილური ქსელისათვის) დასახლებული პუნქტების რაოდენობა / საერთო რაოდენობის %</p>	<p>3</p>	
<p>22. ადმინისტრაციული დანაყოფები, რომელთა ფარგლებშიც განთავსებულია გამორეცხვის, დატბორვის, ზვავის, მეწყრის და სხვა რისკის ქვეშ მყოფი რკინიგზის უბნები</p>		

23. ადმინისტრაციული დანაყოფები, რომელთა ფარგლებშიც განთავსებულია გამორეცხვის, დატბორვის, ზვავის, მეწყრის და სხვა რისკის ქვეშ მყოფი საავტომობილო გზების უბნები	3 კოორდინატები მიუთითეთ	
24. საავტომობილო ხიდების რაოდენობა	16(29)	
25. სარკინიგზო ხიდების რაოდენობა	მთავარ ხაზზე 25 მცირე და საშ.განშტ.: 14 მცირე და საშ.ხიდები	
26. პორტების რაოდენობა და ჩამონათვალი	-	
27. არხებისა და მათზე ჩამკეტების რაოდენობა	72	
28. აეროპორტებისა და მფრინავი აპარატის დასაჯდომი მოედნების რაოდენობა და ადგილმდებარეობა	3	
29. მაგისტრალური მილსადენების სიგრძე, კმ. მათ შორის: - ნავთობსადენი - გაზსადენი - და სხვა	18.7კმ. 900კმ.	
30. ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე, კმ	317,2	
31. ავარიული შენობა-ნაგებობების რაოდენობა	12	
32. სამოქალაქო თავდაცვის ნაგებობების (თავშესაფრების) რაოდენობა	27 (2016წ.მდგომარეობით გამოუსადეგარი)	

გორის გეოლოგიური რუკა

გორის მუნიციპალიტეტი
 სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში
 მოქცეული დასახლებული პუნქტები
 მასშტაბი: 1:200 000



პირობითი აღნიშვნები

გეოლოგიური პროცესი

- მენჯერი
- ლვარცოფი
- მდინარეთა ნაპირების გარეცხვა (ეროზია)
- კლდეზვავი და ქვათაცვენა
- სტიქიური გეოლოგიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბული უბნები
- 2018 წელს გააქტიურებული ან ახლადნარმოქმნილი გეოლოგიური პროცესი

- სახელმწიფო საზღვარი
- საავტომობილო გზა
- მდინარეები
- ტბები და წყალსაცავები
- დასახლებული პუნქტები
- სიმაღლითი ნიშნულები
- × ულელტეხილები
- გაზსადენი
- ნავთობსადენი



საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

1.

შტაბის უფროსი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი **გიორგი მაისურაძე - ტელ.: 591 80 14 64**

საგანგებო შტაბის უფროსი პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე საგანგებო სიტუაციების დროს, როგორც მშვიდობიან, ისე ომის შემთხვევაში.

საერთო მოვალეობები:

- მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფა, შესაბამისად საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;
- საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო ვითარების შეფასება და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მართვა;
- შტაბის წევრებისა და მოსახლეობისათვის სამიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება;
- შტაბში მოხალისეთა ფორმირების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება;
- ჯგუფებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება, ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა;
- მოსახლეობის დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო, საძიებო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება, საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა/დაზუსტება. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მოსახლეობის შეფარების ორგანიზება დამცავ ნაგებობებში;
- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის ამაღლების მიზნით მიტიგაციური და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას:

საერთო მოვალეობებთან ერთად უზრუნველყოფს რეაგირების ღონისძიებათა კოორდინირებას და მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებებს.

რეაგირების ღონისძიებათა კოორდინირების სფეროში ძირითადი ფუნქცია ამოცანებია:

- საძიებო-სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სახანძრო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ დონეზე სახანძრო-სამაშველო მორეაგირე ფორმირების ჩაბმა საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

რეაგირების ღონისძიებების კოორდინირების ფარგლებში, შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს გორის სახანძრო-სამაშველო განყოფილებასთან კოორდინაციით და დახმარებით პასუხისმგებელია:

- ოპერატიულ-სამაშველო მოქმედებაზე;
- საავარიო-სამაშველო, სახანძრო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციების ზონაში გადანაწილებაზე;
- დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის დადგენას, ასევე საინჟინრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრას და მათ სამაშველო სამუშაოებში ჩაბმაზე;
- პირველადი სამედიცინო დახმარების მხარდაჭერასა და მიმდებარე ავადმყოფების სხვა ქალაქებში გადაყვანის ღონისძიებების შემუშავებაზე;

- საგანგებო სიტუაციის ზონის შემოფარგვლასა და იზოლირებაზე;
- საგანგებო სიტუაციის შედეგების ლოკალიზაციის სამუშაოებზე;
- ხანძრის ქრობის სამუშაოებზე.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის სამმართველო ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და აკონტროლებს საგანგებო სიტუაციის ზონაში ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა, შემოფარგლავს და იცავს პერიმეტრს, აწარმოებს ბრძოლას მოროდორობის წინააღმდეგ.

შპს „გორმედი“ (საავადმყოფო, პოლიკლინიკა) ს.ს „იავნანა“ (დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრი), შპს „ნოვამედი“ (პოლიკლინიკა), სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, შპს „იმედი და მარიამი“ (კლინიკა), შპს „გოგიაშვილის კლინიკა“, „გორის სამედიცინო ცენტრი“ (პოლიკლინიკა), გორის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი, „ავერსის კლინიკის“ გორის ორი ფილიალი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გორის ფილიალი უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სამედიცინო პუნქტებში გადაყვანას.

შპს „აგრომოლი“ (გორის ავტოსადგური) უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმული ძალების შესაბამისი ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო;

შპს "მაგთიკომი", სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების ფორმირებების, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას;

სს „ეპ ჯორჯიას“ გორის სერვის-ცენტრი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ენერგომომარაგების კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას; „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა“; შპს "სოკარ ჯორჯია - გაზი ქართლი"; შპს "სოკარ ჯორჯია - გორის სერვისცენტრი"; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური; საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონალური ფილიალის გორის სერვისცენტრი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური - ორგანიზებას უწევს სამხედრო რეზერვისტების მობილიზებას.

მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების სფეროში

- მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საევაკუაციო მიმღები და გამანაწილებელი ცენტრების გაშლის ორგანიზება;
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება;
- ევაკუირებულთა სამედიცინო უზრუნველყოფა;
- ენერგო უზრუნველყოფა;
- ცხოველების ევაკუაცია.

მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფის სფეროში, შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს გორის სახანძრო-სამაშველო განყოფილებასთან კოორდინაციით და დახმარებით პასუხისმგებელია:

- მოსახლეობის ევაკუაციის ძირითად ღონისძიებების შემუშავებაზე;
- ევაკუაციისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალების რაოდენობის განსაზღვრაზე;
- ევაკუაციის მარშრუტების შემუშავებაზე;
- მოსახლეობის თავშესაფრებში მოთავსების, დროებითი თავშესაფრების (საველე კარვები) ნაგებობების შექმნაზე;
- კვებით უზრუნველყოფაზე მობილური კვების პუნქტების მეშვეობით პირველადი მოხმარების საგნების მოწოდებაზე;

- იმ პირების გამოვლენაზე, რომლებიც საჭიროებენ განსხვავებულ სპეციალიზებულ დახმარებას (შეზღუდული შესაძლებლობის პირები, სხვა ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა);
- მოსახლეობისადმი სამედიცინო მომსახურეობის გაწევის კოორდინაციაზე.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის სამმართველო უზრუნველყოფს "ხმამაღლა მოლაპარაკე" საშუალებით აღჭურვილი ავტომატის გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას, ევაკუაციის მარშრუტებზე და განსახლების ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

შპს „გორმედი“ (საავადმყოფო, პოლიკლინიკა) ს.ს „იანანა“ (დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრი), შპს „ნოვამედი“ (პოლიკლინიკა), სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, შპს „იმედი და მარიამი“ (კლინიკა), შპს „გოგიაშვილის კლინიკა“, „გორის სამედიცინო ცენტრი“ (პოლიკლინიკა), გორის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი, „ავერსის კლინიკის“ გორის ორი ფილიალი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გორის ფილიალი უზრუნველყოფს ევაკუირებული ადამიანების ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის დაცვის კოორდინაციას;

შპს „აგრომოლი“ (გორის ავტოსადგური) და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციას საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გორის სამოქალაქო რეესტრის სამსახური - მოქალაქეებზე, რომელთაც საგანგებო სიტუაციების შედეგად დაკარგეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გასცემს შესაბამის საბუთებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად - შეიმუშავებს და განხორციელებს მოსწავლეთა და სტუდენტთა საევაკუაციო ღონისძიებებს და დროებითი მოძრავი სკოლების ფუნქციონირებას;

შპს "მაგთიკომი" და სს „სილქნეტი“- უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს კავშირგაბმულობის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

**შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
დარგში გორის მუნიციპალიტეტის მერი**

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ტელ.: 595 910 905

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში ძირითადი ამოცანებია:

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა.

შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების დარგში კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან კოორდინაციით და დახმარებით შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრას;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო საშუალებების (კარვები, თბილი ტანსაცმელის კომპლექტი, საბნები, ინდივიდუალური აფთიაქები და სხვ.) უზრუნველყოფის ორგანიზებას;
- დაზიანების ზონებში სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების და მომუშავე ტექნიკის საწვავ-საპოხი მასალების მარაგების შექმნის ორგანიზებას;
- დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების და მათი დროებით განსახლების ადგილებში წყლით, კვებით, სურსათითა და პირველადი მოხმარების სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის მარაგების შექმნას;
- მომარაგების მოძრავი პუნქტების შექმნის ორგანიზებას;
- დაზიანების ზონებში სპეციალური რეზერვების საწყობების ორგანიზებას.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. გორის სახანძრო-სამაშველო განყოფილება – კოორდინირებას უწევს მატერიალურ-ტექნიკური რეზერვების მარაგების განაწილებას;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველო - ახორციელებს მატერიალური რესურსების ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე ტრანსპორტის დაუბრკოლებელი გადაადგილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას;

შპს „აგრომოლი“ (გორის ავტოსადგური) და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების გადაადგილებასა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის კოორდინირებას.

3.

შტაბის უფროსის მოადგილე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს უფროსი - გიორგი ქოთუაშვილი (ტელ.:577 53 96 05) პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვაზე, რაც გულისხმობს აღნიშნული ღონისძიებების მართვას სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის გორი-კასპის განყოფილების უფროსი - რამაზ დულარიძესთან ერთობლივი (ტელ.:577 02 82 34) კოორდინაციით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსი იაგო ბოლოთაშვილი , ტელ.: 577 44 11 67.

საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის სფეროში ძირითადი ამოცანებია:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მიზნით ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. გორის სახანძრო-სამაშველო განყოფილება დახმარებას უწევს, რათა მოხდეს იმ ობიექტების, მარშრუტების, ავტოკოლონებისა და ტერიტორიების დაცვა, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს პრიორიტეტული და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება.

შტაბის წევრი
გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
გიორგი დადიანიძე ტელ.: 599 85 40 35
დაკისრებული მოვალეობა

კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა

კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდგენა და უწყვეტობის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად, შპს „მათიკომთან“ და სს „სილქნეტთან“ კოორდინაციით უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციისას ელექტრონულ კომუნიკაციას, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს კავშირგაბმულობისა და შეტყობინებების ხარისხის ღონის შეფასებასა და აღდგენისთვის მზადყოფნას, მონიტორინგის წარმოებას და ინფორმაციის მიწოდებას საგანგებო შტაბისათვის.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

11	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.	„-----“	„სთ“+3 სთ	
12	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა	„-----“	„სთ“+4 სთ	
13	დამატებითი ძალების მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა	„-----“	„სთ“+5 სთ	
14	ხელმძღვანელობის წინაშე (დოკუმენტირება) არსებული ვითარების შესახებ ანგარიშის მომზადება და გაგზავნა.	„-----“	„სთ“+6 სთ და შემდგომ ყოველ ექვს საათში	

მართვის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება

საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სახვა პირებს შორის კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით. საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერების მეშვეობით.

განსაკუთრებული შემთხვევები წყალმოვარდნის დროს:

თუ წყალმოვარდნამ გამოიწვია რადიაციული დაზინძურება

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (ცხრილის (N1) სახით მოცემული ქვემოთ) 1-8 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები მუნიციპალური საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების მითითებათა გათვალისწინებით.

თუ წყალმოვარდნამ გამოიწვია ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარია

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (ცხრილის (N1) სახით მოცემული ქვემოთ) 9-15 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები, დაწესდეს კონტროლი ქიმიურ დაზინძურებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს უფლება მოსახლეობას დაუბრუნდეს საკუთარ გარემოს

თუ წყალმოვარდნამ გამოიწვია ხანძრის (ნგრევების) შემთხვევა

- გამოძახებული იქნას ქალაქის (მუნიციპალიტეტის) სახანძრო-სამაშველო სამსახური. ტელ. 112-ზე.
- ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში თუ საშიშროება ემუქრება, ორგანიზებული უნდა იქნას ევაკუაცია და შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (ცხრილის N1 სახით მოცემული ქვემოთ) გათვალისწინებული 16-19 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები.

თუ წყალმოვარდნამ გამოიწვია აფეთქება

შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (ცხრილის N1 სახით მოცემული ქვემოთ) 16-19 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები.

ცხრილი N1

საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმა

აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება ძირითად ღონისძიებების პარალელურად და კოორდინირებული უნდა იქნას ძირითადი მოვლენის აღმოფხვრაში მოქმედი ძალების მოქმედებასთან.

ა) რადიაციულად სახიფათო ობიექტზე ავარიის დროს (რადიაციული დაბინძურება)

N	გასატარებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები (დრო მითითებული სიტუაციის დადგომიდან)	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
1	მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და საგანგებოს სიტუაციების მართვის სამსახურის განყოფილების პირადი შემადგენლობის შეკრება, ვითარების გაცნობა და ამოცანების დასმა.	„სთ“+0,5 სთ არასამუშაო დროს	საგანგებო შტაბის უფროსი. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.
2	აეკრძალოთ შენობის დატოვება (უკიდურესი შემთხვევის გარდა) ობიექტზე მყოფთ თავდაცვის რეჟიმზე გადასვლის მითითებამდე.	„სთ“+0,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი. შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
3	მოხდეს შენობის/ობიექტის კარ-ფანჯრების ჰერმეტიზაცია, გამოირთოს გარე სავინტილაციო ქსელი.	„სთ“+1,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
4	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალო საგუშაგო.	„სთ“+0,5 სთ	შტაბის უფროსი სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
5	საიზოლაციო აირწინაღების (დოლბანდი) და მოსასხამების დამზადების ორგანიზება.	„სთ“+2 სთ	შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
6	იოდიზირებული პრეპარატების გაცემა ძირითად შემადგენლობაზე	„სთ“+2.5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
7	განხორციელდეს მოქალაქეების განთავსება დამცავ ნაგებობებში	„სთ“+ 1.5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათთა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

8	განხორციელდეს დაცვითი რეჟიმის ღონისძიებები გამოცხადებისთანავე	რეკომენდაციის თანახმად	შტაბის უფროსის მოადგილე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში
---	---	------------------------	--

ბ) ქიმიურად საშიშ ობიექტზე წარმოქმნილი ავარიის ქიმიური დაბინძურების დროს

	მოხდეს ობიექტის პირადი შემადგენლობის შეტყობინება ხმოვანი შეტყობინების საშუალებით. ქიმიურად დაბინძურებული რაიონიდან გასვლის მითითებამდე მოხდეს შენობაში მყოფი პირადი შემადგენლობის შეკრება და კარ-ფანჯრების ჰერმეტიზაცია	„სთ“+0.3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი. შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა.
10	ძირითადი შემადგენლობისათვის მოხდეს საიზოლაციო აირწინაღის (დოლბანდი)დამუშავება. ქლორის დროს2%-იანი სოდიანი ხოლო ამიაკისას 5%-იანი ლიმონ(ბორის) მჟავის ხსნარით.	„სთ“+0.5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
11	მოხდეს ურთიერთ შეთანხმებული მოქმედება საგანგებო შტაბის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადგილობრივ ორგანოსთან და სამედიცინო დაწესებულებებთან	„სთ“+1 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
12	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალო საგუშაგო. მზადყოფნაში მოყვანილი იქნას სამაშველო ჯგუფები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლები.	„სთ“+1.5 სთ	შტაბის უფროსის მოადგილე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
13	ორგანიზება გაუკეთდეს შენობაში მყოფი პირების გადაყვანას უსაფრთხო ადგილას ქალაქის საგანგებო შტაბიდან	„სთ“+0.5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი; შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური

	მითითებისამებრ		უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათთა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა.
14	მოხდეს დაბინძურებული ზონებიდან გაყვანისას დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა	„სთ“+0.5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
15	უზრუნველყოფილი იქნას ობიექტის პირადი შემადგენ. უკან დაბრუნება.	დაბინძურებული კერის ლიკვიდაციის შემდეგ.	საგანგებო შტაბის უფროსი; სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა.

გ) ხანძრის (ან ნგრევების) შემთხვევაში

16	ობიექტიდან გაყვანილი იქნას მასში მყოფი პირები უსაფრთხო ადგილას.	„სთ“+0.3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათთა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.
17	მოხდეს სახანძრო-სამაშველო ჯგუფის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ორგანიზება. წარმოქმნილი დაზიანების კერების ლიკვიდაცია.	„სთ“+0.5 სთ	შტაბის უფროსი
18	სამედიცინო ჯგუფმა განახორციელოს დაზარალებულთათვის დახმარება.	„სთ“+0.5 სთ	შტაბის უფროსი სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
19	შემოწმდეს შენობა/ობიექტი და აღდგეს მისი ფუნქციონირება	ხანძრის (ნგრევის) შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ	შტაბის უფროსი


აღდგენა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N1-ის (წყალმოვარდნა) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

მას შემდეგ რაც წყლის დონე დაიწევს და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.


1. საგანგებო სიტუაციების სამსახური იწყებს დატბორილი სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვას;
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად;
3. ხორციელდება მატერიალური სიკეთეების გამოტანა დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
4. მერიის სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდით სამუშაოები, ქვალორღის, ნაშალი მასის, ჩახერგილების გაწმენდა;
5. ტრაქტორ/ექსკავატორი იწყებს შეგუბებული დაბლობიდან მდინარის კალაპოტამდე მცირე ზომის არხების გაყვანას რათა შეგუბებული წყალი დაბრუნდეს მდინარეში;
6. ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ იწყებს სანიაღვრე არხების გაწმენდას დაგროვილი ნაგვისგან და ასუფთავებს დატბორილ ქუჩებს და უბნებს.
7. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა შემოწმება

გორის მუნიციპალიტეტში წყალდიდობის დროს
ევაკუაციის სქემა




დანართში მოცემულია გამოვლენილი რისკების ტერიტორიებიდან მოსახლეობის ევაკუაციის ძირითადი მარშრუტები

ევაკუაციის სქემა სკრის „დაჩეხის“ ტერიტორიიდან



ევაკუაციის სქემა სოფ. კარალეთის ტერიტორიიდან





შენიშვნა: სოფელ კარალეთის წყალმომარაგების არეალიდან საევაკუაციო მარშრუტი მიემართება სოფელ კარალეთის სკოლის მიმართულებით სადაც შესაძლებელია ევაკურიებული პირების განთავსება (ადგილზეა სტადიონი, ამბულატორია)

რისკი №2

მიწისძვრა

სექტემბრის თვეში, სამუშაო დღის 10:00 საათზე, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მიწისძვრა (დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი) სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ცნობით, ეპიცენტრი მდებარეობდა ქ. გორის გეოგრაფიული ცენტრიდან აღმოსავლეთით 5 კმ-ის მანძილზე, სიმძლავრე შეადგენდა 7,0 მაგნიტუდას. ქ. გორის ტერიტორიაზე დაფიქსირდა 8 ბალის ეფექტის სეისმური რყევები. (დანართი 13.1)

ქალაქის ტერიტორიაზე განვითარდა შენობა-ნაგებობების ძლიერი, საშუალო და მსუბუქი ხარისხის დაზიანებები. კერძოდ ძლიერი დაზიანება მიიღო შენობათა 10 %-მა; საშუალო - 30%-მა, ხოლო მსუბუქი - 50%-მა.

მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად შეიკრიბა საგანგებო შტაბი. შტაბის გადაწყვეტილებით, საძებო-სამაშველო სამუშაოების პარალელურად, ქალაქში ორგანიზება უკეთდება დაზვერვის ჯგუფების საქმიანობას, რომლებიც ადგილზე გამოავლენენ შექმნილი საგანგებო ვითარებას.

პირველადი მონიტორინგის/დაზვერვის ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დაფიქსირდა ძლიერი ნგრევის კერა: სამეფო, რობაქიძის, რუსთაველის, კასტელისა და მიჩურინის ქუჩების მიმდებარე განაშენიანებულ ტერიტორიებზე. მიჩურინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე სეისმურმა ბიძგებმა გამოიწვია მეწყერის გააქტიურება, რის შედეგადაც 16 სახლი მნიშვნელოვნად დაზიანდა, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთები სრულად დაიმეწყრა. შინდისის გმირების ქუჩაზე ძლიერ დაზიანდა ორი ხუთსართულიანი კორპუსი და საშუალო ხარისხის დაზიანება მიიღო სამმა ცხრასართულიანმა კორპუსმა, ასევე ხუთმა საშუალო ხარისხის დაზიანება.

სამაშველო ჯგუფები სამუშაოებს იწყებს საგანგებო სიტუაციების ზონაში. ადგილზე მისვლისას დაფიქსირდა, რომ რუსთაველის ქუჩაზე ძლიერი დაზიანება მიიღო ხუთმა საცხოვრებელმა სახლმა, საშუალო ხარისხით დაზიანებულია 6 სახლი, მსუბუქად - 15. სამეფო ქუჩაზე ძლიერი დაზიანება მიიღო ოცმა საცხოვრებელმა სახლმა, საშუალო ხარისხით დაზიანებულია 11 სახლი, მსუბუქად - 8. რობაქიძის ქუჩაზე ძლიერ დაზიანდა 6 სახლი, საშუალო ხარისხის დაზიანება მიიღო 15 სახლმა. კასტელის ქუჩაზე დაზიანდა 15 სახლი, საშუალო ხარისხით დაზიანებულია 8 სახლი, მსუბუქად - 25. ქალაქის მასშტაბით დაზიანებულია ენერგო (ელექტრო) და გაზომომარაგების კომუნიკაციები, ენერგომომარაგების გარეშე დარჩა ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე, სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. ნაწილობრივ დაინგრა: მე-11 საბავშვო ბაღი, საგანმანათლებლო დაწესებულებები (მე-3 და მე-6 საშუალო სკოლის შენობები, საკრებულოს შენობა და სამხედრო ჰოსპიტალი, შეფერხებულია მოძრაობა შიდა საქალაქო გზებზე. პირველადი მონაცემებით დაღუპულია 38-მდე ადამიანი. ხოლო დაშავებულია 127 პირი. უსახლკაროდ დარჩა 820 ოჯახი.

საგანგებო შტაბის გადაწყვეტილებით, ორგანიზება უკეთდება უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართების მოძიებას; ძებნა-შველის ოპერაციების პარალელურად მიმდინარეობს დაშავებულთათვის სამედიცინო

დახმარების გაწევა და სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანა. დაშავებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მე-3 სკოლის მიმდებარე, საკრებულოს და გორის ცენტრალურ სტადიონზე და ახალბადის, ტინისხიდის სტადიონის მიმდებარედ მოეწყო კარვების ქალაქები, ასევე სამხედრო ჰოსპიტალის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიშალა საველე ჰოსპიტალი.

საგანგებო სიტუაციების ზონაში, საგანგებო შტაბის გადაწყვეტილებით, ფუნქციონირებს საველე ოპერაციების შტაბები. საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება ხუთი დღის განმავლობაში. მიწისძვრის მოხდენიდან მესამე დღეს, საგანგებო შტაბი რეაგირების ღონისძიებების კვალდაკვალ იწყებს აღდგენით სამუშაოებს. ორგანიზება უკეთდება ენერგო მომარაგების, წყლით მომარაგებისა და კავშირგაბმულობის აღდგენით სამუშაოებს, ასევე, ჩახერგილი გზების წმენდით სამუშაოებს. მიმდინარეობს გზებისა და ხიდების აღდგენა/შეკეთება.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პ რ ე ვ ე ნ ც ი ა

გეგმიურად უნდა მიმდინარეობდეს შენობების სეისმომედეგობის ამაღლების პრევენციული ღონისძიებები მოქმედი სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებისა და ნორმების შესაბამისად.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა;
- დ) მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- ე) შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება (რისკების შესამცირებლად აკადემიამ მოიწვია სპეციალისტები შენობის მდგრადობის დასადგენად (იხ. მდგრადობის დოკუმენტი);
- ვ) დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების პერიოდი	შენიშვნა
1	შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება სეისმურად არამედვეი შენობების გამოვლენის მიზნით	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში მერიის მიერ შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა
2	გორში ავარიული შენობა-ნაგებობების სარემონტო/გადლიერების სამუშაოების ორგანიზება	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	აიპი გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით
3	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო საშუალებების გადამცემი ბოძებისა და ძირითადი გამანაწილებელი პუნქტების (გაზი ელექტროენერგია, წყალ მომარაგება) მონიტორინგი, აღდგენა, შეცვლა.	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური კოორდინაცია სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები	კალენდარული წლის განმავლობაში	მერია, საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელი კომპანიები სს „ეპ ჯორჯია“, შპს „სოკარ ჯორჯია“, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სს „სილქნეტი“, შპს „მაგთიკომი“
4	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების და გზების აღდგენა-გამაგრება.	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შედგენილი ტექნიკური დავალებითა და პროექტით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
1	შპმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	
2	შპმ პირებისათვის დახმარების გაწევის	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	

	მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება			
3	შპს პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	

მზადყოფნა

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს თემატურ მეცადინეობებს, ვიქტორინებს და კონფერენციებს მიწისძვრებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცეს მიწისძვრის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილ 2-ში.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მიწისძვრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით.	გორის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ცნობიერების

				ამაღლების მიზნით შესაბამისი სწავლებების ჩატარება
2	სამაგიდო სწავლება მიწისძვრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის მართვის თემატიკაზე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ	„-----“
3	რისკის შემცველ ტერიტორიაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	გორის მუნიციპალიტეტის მერია და მათ მიერ მოწვეული ექსპერტები	საჭიროებისამებრ	
4	სახანძრო-სამაშველო, სამედიცინო, ქიმიური და რადიაციული ადჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
5	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მინიმუმ 10 სასტუმროსთან და სასტუმრო სახლებთან მოლაპარაკებას, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის და ფასთა კვლევას მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	
6	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური და სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას პირველადი მოხმარების საგნების შეძენისა და მზადყოფნისათვის (პრიორიტეტულია საძილე ტომრები, კარვები, მედიკამენტები.)	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	საჭიროების შემთხვევაში წითელი ჯვრის საზოგადოების გორის ორგანიზაცია
7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო მოქალაქეთა	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური; ეკონომიკის სამსახური; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.	კალენდარული წლის განმავლობაში	

	ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, რის საფუძველზეც ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.			
8	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო მოქალაქეთა საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო მარაგების მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკებების გზით, რის საფუძველზე აღნიშნული სამსახურები უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური; ეკონომიკის სამსახური; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.	კალენდარული წლის განმავლობაში	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
7	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	
8	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	
9	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	

რ ე ა გ ი რ ე ბ ა

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო ურბანულ პირობებში საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- ა) მოსახლეობის ინფორმირება;
- ბ) საველე ოპერაციების შტაბების გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;
- გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;
- ე) ოპერაციების კოორდინირება;
- ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;
- ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;
- თ) ინფორმაციის მართვა;
- ი) მოთხოვნების დამუშავება დახმარების შესახებ - ეროვნულ დონეზე;
- კ) რესურსების მიღება და მართვა;
- ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
- მ) ფინანსების მართვა;
- ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);
- ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო და საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების გამოყენების ორგანიზება.

დაუყოვნებლივ იწყება საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო, და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის ზონაში უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით, იხსნება ევაკუირებულთა შემკრები და მიმღები პუნქტები. ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (მიწისძვრა) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	საგანგებო სიტუაციის ზონაში სამაშველო მორეაგირე ჯგუფის გაგზავნა.	შსს სსდ სსმ სამსახურის სტრუქტურული ერთეულის უფროსი	„სთ“+5 წთ	
2	საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვითარების შეფასება, ხელმძღვანელის	„-----“	„სთ“+10 წთ	

	ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღება განგაშის გამოცხადებასა და შტაბის შეკრების თაობაზე			
3	განგაშის გამოცხადება	„-----“	„სთ“+15 წთ	
4	შეტყობინება ეგზავნება მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ საგანგებო მართვის შტაბის წევრებს	გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი	„სთ“+20 წთ	
5	საგანგებო მართვის შტაბის შეკრება	საგანგებო შტაბის უფროსი	„სთ“+30 წთ	
6	სამაშველო (და საჭიროების შემთხვევაში) ღონისძიებების გატარება.	საგანგებო შტაბი	„სთ“+40 წთ	
7	საევაკუაციო ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემ-საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.	„-----“	„სთ“+1 სთ	
8	მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის განვითარების ადგილიდან.	„-----“	„სთ“+1 სთ და 30 წთ	
9	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება.	„-----“	„სთ“+2 სთ	
10	მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამისი ზომების მიღება	„-----“	„სთ“+1 სთ ყოველ საათში განმეორებით	
11	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.	„-----“	„სთ“+3 სთ	
12	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა	„-----“	„სთ“+4 სთ	
13	დამატებითი ძალების მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა	„-----“	„სთ“+5 სთ	
14	ხელმძღვანელობის წინაშე (დოკუმენტირება) არსებული ვითარების	„-----“	„სთ“+6 სთ	

შესახებ ანგარიშის მომზადება და გაგზავნა.		და შემდგომ ყოველ ექვს საათში	
--	--	------------------------------	--

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (მიწისძვრის) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

1. ცხადდება განგაში;
2. შეტყობინება ეგზავნება მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბის უფროსს;
3. საგანგებო შტაბის უფროსი დაუყოვნებლივ კრებს საგანგებო შტაბის წევრებს;
4. იწყება პირველადი ღონისძიებების განხორციელება:
 - საჭიროების შემთხვევაში, იწყება მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის ზონიდან;
 - მიუხედავად ევაკუაციის აუცილებლობის ან ასეთი აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში, იწყება საგანგებო სიტუაციების მართვის ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა - სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
 - საჭიროების შემთხვევაში, იწყება მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში - შესაბამისი დაცვის ორგანიზება;
 - სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
 - მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
 - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირება;
 - შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან

მართვის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება

საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სხვა პირებს შორის, კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით. საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერების მეშვეობით.

განსაკუთრებული შემთხვევები მიწისძვრის დროს:

თუ მიწისძვრის შედეგად ადგილი აქვს რადიაციული დაბინძურებას:

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ.

ცხრილის N1) 1-8 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები მუნიციპალური საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების მითითებათა გათვალისწინებით.

თუ მიწისძვრამ გამოიწვია ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარია:

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ ცხრილი N1) 9-15 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები, დაწესდეს კონტროლი ქიმიურ დაბინძურებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს უფლება მოსახლეობას დაუბრუნდეს საკუთარ გარემოს

თუ მიწისძვრამ გამოიწვია ხანძრის (ნგრევების) შემთხვევა:

- გამოძახებულ იქნას სახანძრო-სამაშველო სამსახური (ტელ: 112);
- ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში თუ საშიშროება ემუქრება მოსახლეობას, უნდა მოხდეს ევაკუაციის ორგანიზება და შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ. ცხრილი N1) 16-19 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები

თუ მიწისძვრამ გამოიწვია აფეთქება:

შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ ცხრილი N1) 16-19 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები.

ცხრილი N1

საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმა

აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება ძირითადი ღონისძიებების პარალელურად და კოორდინირებული უნდა იქნას ძირითადი მოვლენის აღმოფხვრაში ჩართული ძალების მოქმედებასთან.

ა) რადიაციულად სახიფათო ობიექტზე ავარიის დროს (რადიაციული დაბინძურება)

N	გასატარებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები (დრო მითითებული სიტუაციის დადგომიდან)	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
---	---------------------------	---	---------------------------------------

1	მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პირადი შემადგენლობის შეკრება, ვითარების გაცნობა და ამოცანების დასახვა	„სთ“+0,5სთ არასამუშაო დროს	საგანგებო შტაბის უფროსი, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
2	აეკრძალოს შენობის დატოვება (უკიდურესი შემთხვევის გარდა) ობიექტზე მყოფთა დაცვის რეჟიმზე გადასვლის მითითებამდე	„სთ“+0,5სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
3	მოხდეს შენობის/ობიექტის კარფანჯრების ჰერმეტიზაცია, გამოირთოს გარე სავინტილაციო ქსელი	„სთ“+1,5სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
4	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალო საგუშაგო	„სთ“+0,5სთ	შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
5	საიზოლაციო აირწინაღების (დოლბანდი) და მოსასხამების დამზადების ორგანიზება	„სთ“+2 სთ	შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
6	იოდიზირებული პრეპარატების გაცემა ძირითად შემადგენლობაზე	„სთ“+2,5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
7	განხორციელდეს მოქალაქეების განთავსება დამცავ ნაგებობებში	„სთ“+ 1,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათითა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
8	მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება	რეკომენდაციის თანახმად	შტაბის წევრი წესრიგისა და მატერიალური

განხორციელდეს შესაბამისი დაცვითი რეჟიმის გამოცხადებისთანავე	ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში
---	--

**ბ) ქიმიურად საშიშ ობიექტზე წარმოქმნილი ავარიის დროს/
ქიმიური დაბინძურების დროს**

N	გასატარებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები (დრო მითითებული სიტუაციის დადგომიდან)	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
9	მოხდეს ობიექტის პირადი შემადგენლობის შეტყობინება ხმოვანი შეტყობინების საშუალებით. ქიმიურად დაბინძურებული რაიონიდან გასვლის მითითებამდე, მოხდეს შენობაში მყოფი პირადი შემადგენლობის შეკრება და კარ-ფანჯრების ჰერმეტიზაცია	„სთ“+0,3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
10	პირითადი შემადგენლობისათვის მოხდეს საიზოლაციო აირწინალის (დოლბანდი) დამუშავება ქლორით დაბინძურების შემთხვევაში 2%-იანი სოდიანი, ხოლო ამიაკით დაბინძურებისას 5%-იანი ლიმონ (ბორის) მჟავის ხსნარით	„სთ“+0,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
11	მოხდეს ურთიერთშეთანხმებული მოქმედება საგანგებო შტაბის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივ ორგანოსთან და სამედიცინო დაწესებულებებთან	„სთ“+1 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

12	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალ საგუმაგო, მზადყოფნაში მოყვანილი იქნას სამაშველო ჯგუფები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლები	„სთ“+1,5 სთ	შტაბის წევრი საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
13	ორგანიზება გაუკეთდეს შენობაში მყოფი პირების გადაყვანას უსაფრთხო ადგილას ქალაქის საგანგებო შტაბიდან მითითებისამებრ	„სთ“+0,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი; შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათთა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
14	დაბინძურებული ზონებიდან გაყვანისას მოხდეს დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა	„სთ“+0,5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
15	უზრუნველყოფილი იქნას ობიექტის პირადი შემადგენლობის უკან დაბრუნება	დაბინძურებული კერის ლიკვიდაციის შემდეგ	საგანგებო შტაბის უფროსი, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა

გ) ხანძრის (ან ნგრევების) შემთხვევაში

N	გასატარებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები (დრო მითითებული სიტუაციის დადგომიდან)	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
16	ობიექტიდან გაყვანილი იქნას მასში მყოფი პირები უსაფრთხო ადგილას.	„სთ“+0,3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში,

			სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათით და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
17	მოხდეს სახანძრო-სამაშველო ჯგუფის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ორგანიზება, წარმოქმნილი დაზიანების კერების ლიკვიდაცია	„სთ“+0,5 სთ	შტაბის უფროსი
18	სამედიცინო ჯგუფმა განახორციელოს დაზარალებულების დახმარება	„სთ“+0,5 სთ	შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
19	შემოწმდეს შენობა/ობიექტი და აღდგეს მისი ფუნქციონირება	ხანძრის (ნგრევის) შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ	შტაბის უფროსი

აღდგენა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N4-ის (მიწისძვრის) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:


მას შემდეგ, რაც სიტუაცია დასტაბილურდება და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური იწყებს ნანგრევის გაწმენდით სამუშაოებს.
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (საგანგებო შტაბის უფროსი) ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან და დარგის ექსპერტებთან ერთად.
3. მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს დაზიანებული შენობების, აგრეთვე მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება.
4. ხორციელდება მატერიალური ფასეულობების გამოტანა, დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება.
5. მერიის შესაბამისი სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები, ნაშალი მასის, ჩახერგილობების გაწმენდა.
6. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა-შემოწმება.

7. მერიის შესაბამისი სამსახურები უმოკლეს ვადებში ორგანიზებას უკეთებს დაზიანებული შენობებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება/წარმოებას.

8. ეპიდსაწინააღმდეგო და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელება.

რისკი №2 მიწისძვრა





რისკი N3 - სცენარი**ძლიერი ქარი/სეტყვა**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან საგანგებო სიტუაციების სამსახურში შევიდა შეტყობინება, რომ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი სეტყვა ქარიშხალით.

შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გადავიდა მზადყოფნის რეჟიმზე.

დღის 12:00 საათზე მოსახლეობიდან 112-ზე შევიდა შეტყობინება, რომ წამოვიდა სეტყვა და ფიქსირდება ძლიერი ქარიშხალი, საფრთხე ექმნება საცხოვრებელ სახლებს საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს და გაყვანილობებს.

შეტყობინების შესვლისთანავე შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გორის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველ სამმართველს რეაგირების ჯგუფი გაემართა მოვლენის ეპიცენტრში. ადგილზე მისვლისას დაფიქსირდა, რომ გადახდილია 15 საცხოვრებელი სახლის სახურავი, მოთხრილია 10-ზე მეტი ხე, დაზიანებულია ენერგო და გაზომომარაგების საშუალებები და მაგისტრალები, რამაც ქალაქის ძირითადი ნაწილის გათიშვა გამოიწვია ასევე გაითიშა სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები: საავადმყოფო, კვების მომარაგების ობიექტები, ჩახერგილია ცენტრალური და შიდა საქალაქო გზები, დაზიანებულია 5 ავტომანქანა და სეტყვის მიერ დაგროვილი ნალექის გამო დატბორილი და გაჭედებულია ქუჩის წყალგამტარი ნაგებობის, რაც საფრთხეს უქმნის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების დატბორვას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აცხადებს, რომ საჭირო არაა მოსახლეობის ევაკუაცია, სამსახურთან ერთად ხმამაღალ შეტყობინებას ავრცელებს საპატრულო პოლიცია და ასევე შემთხვევის ადგილზეა საგანგებო შტაბის წარმომადგენელი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები დატბორილი ზონებიდან (საცხოვრებელი სახლებიდან, სადგომებიდან და ეზოებიდან) აწარმოებენ წყლის ამოტუმბვით სამუშაოებს. პოლიციის თანამშრომლების მიერ გადაკეტილია ქუჩებზე შემავალი გზა და არეგულირებენ ავტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას, ხმამაღლა მოლაპარაკე ავტო მანქანებით აწვდიან ინფორმაციას მოსახლეობას რომ შეინარჩუნონ სიმშვიდე და დაელოდონ შესაბამის სამაშველო ჯგუფებს. დაახლოებით 15.00 საათზე მოვლენა აღარ წარმოადგენს საფრთხეს და საგანგებო სიტუაციების სამსახური შტაბს უფლებას აძლევს დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები**პ რ ე ვ ე ნ ც ი ა**

პრევენციის უმთავრესი მიზანია და გულისხმობს მუნიციპალური ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
 - ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
 - გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.
 - დ) ძლიერი ქარის, სეტყვის და წყალდიდობისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- დეტალური ღონისძიებები იხილეთ ქვემოთ ცხრილში.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N3-ის (ძლიერი სეტყვა/ქარიშხალი) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი	გორის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი წინადადებით მიმართავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ან და საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებს	მერია	კალენდარული წლის თებერვალ-მაისი	
2	გორის მუნიციპალიტეტი ს ტერიტორიაზე სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების გაწმენდითი სამუშაოები	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო და გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბი სადგურების სამსახური;	საჭიროების შემთხვევაში დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით	კალენდარული წლის განმავლობაში	
3	გორის მუნიციპალიტეტი ს ტერიტორიაზე სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონალური ფილიალის გორის	საჭიროების შემთხვევაში დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების	კალენდარული წლის განმავლობაში	

		სერვისცენტრი ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბი სადგურების სამსახური;	საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით		
4	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ან რისკის გამომწვევი ხეების გადაბეღვა ამოღება	ა(ა)იკ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო და სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.	საჭიროების შემთხვევაში დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით	კალენდარული წლის თებერვალ-მარტი, სექტემბერი-ნოემბერი	
5	სადაზღვევო პაკეტების შეთავაზება/მომზადება	სადაზღვევო კომპანიები	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	მერია უზრუნველყოფს რისკის არეალში მცხოვრები მოსახლეობისათვის სადაზღვევო კომპანიებთან შუამდგომლობას და სადაზღვევო პაკეტების შეთავაზებას
6	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო საშუალებების გადამცემი ბოძებისა და ძირითადი გამანაწილებელი პუნქტების (გაზი ელექტროენერგია) მონიტორინგი, აღდგენა, შეცვლა	კომუნიკაციების მიმწოდებელი კომპანიები	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამედველობის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
1	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	
2	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	
3	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	გორის მუნიციპალური მერია	

მზადყოფნა

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ძლიერი ქარი-სეტყვის დროს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს თემატურ მეცადინეობებს, ვიქტორინებს და კონფერენციებს წყალდიდობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცეს ძლიერი ქარი-სეტყვის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N3-ის (ძლიერი ქარი/სეტყვა) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	წლის განმავლობაში მინიმუმ 10 საჯარო სკოლის 8-12 კლასების მოსწავლეებისათვის აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და დაინტერესებული საზოგადოებისათვის (პირველ რიგში რისკის არეალში მაცხოვრებლები) ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება სეტყვის, ქარიშხლის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე სწავლებას ჩაატარებს შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
2	საევაკუაციო წვრთნა(ცხინვალის გზატკეცილის გასწვრივ მდებარე მოსახლეობა)	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	კალენდარული წლის სექტემბერი-ოქტომბერი	
3	რისკის შემცველ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების კუთხით მონიტორინგი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები/ შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	
